საინფორმაციო-სასწავლო კურსი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“
კონცეფცია

სასწავლო კუსის მიზანი: მოსწავლეთა საარჩევნო კულტურის განვითარების ხელშეწყობა.

სასწავლო კურსის შინაარსი: არჩევნების ისტორიული ექსკურსი და თანამედროვეობა; არჩევნები და დემოკრატია; საარჩევნო ადმისტრაცია და ამომრჩეველი; არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები; იმიტირებული არჩევნები.

სასწავლო კურსის შედეგი: არჩევნების არსისა და ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის გააზრება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში.

სწავლების მეთოდოლოგია: „კეთებითი სწავლების“ პრინციპი, რომელიც მოიცავს დისკუსიებს, სხვადასხვა ჯგუფურ სავარჯიშოებსა და არჩევნების დღის სიმულაციას.

სამიზნე ჯგუფი: საჯარო სკოლების საშუალო საფეხურის XI-XII კლასის მოსწავლეები.

სასწავლო კურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი: ცესკოს სწავლების ცენტრი.

სასწავლო კურსის ხანგძლივობა: ერთი სასწავლო კვირა (დღეში 1 საათი).

დღე	თემატიკა	სწავლების შედეგი
I - არჩევნების ისტორიული ექსკურსი და თანამედროვეობა	არჩევითი სახელმწიფო ორგანოები და არჩევნების ისტორია საქართველოში	მოსწავლეებს ეცოდინებათ: ▪ რომელი ორგანოებია საქართველოში არჩევითი და რა საარჩევნო სისტემებით ხდება არჩევა; ▪ საქართველოში დემოკრატიული არჩევნების განვითარების ისტორია 1918 წლიდან დღემდე.
	პრაქტიკული სავარჯიშო - „როგორ ვირჩევთ“	მოსწავლეები გაიაზრებენ საქართველოში მოქმედი საარჩევნო სისტემის დანიშნულებას და ამომრჩეველთა ხმების (ბიულეტენების) მანდატებში ასახვას.
II- არჩევნები და დემოკრატია	პრაქტიკული სავარჯიშო - „რასთან ასოცირდება არჩევნები“	მონაწილეები გაიაზრებენ არჩევნების არსს და როლს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის.
	არჩევნების ჩატარების პრინციპები	მოსწავლეებს ეცოდინებათ: ▪ დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პრინციპები; ▪ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების რაობა და საარჩევნო ცენზები.
	გენდერული თანასწორობა	მოსწავლეები გაიაზრებენ საარჩევნო პროცესში გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას.
	პრაქტიკული სავარჯიშო - „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლი“	მოსწავლეებს ეცოდინებათ საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობით გარანტირებული ძირითადი პოლიტიკური უფლებების შესახებ.

III- საარჩევნო ადმინისტრაცია და ამომრჩეველი	პრაქტიკული სავარჯიშო - „არჩევნების პროცესი ერთი შეხედვით“	მოსწავლეები გაიაზრებენ რამდენად კომპლექსური პროცესია არჩევნები, რომელშიც სხვადასხვა მხარეა ჩართული.
	საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის როლი არჩევნებში	მოსწავლეებს ეცოდინებათ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის როლი არჩევნების ორგანიზებისა და მართვის პროცესში.
	პრაქტიკული სავარჯიშო - „მე ინფორმირებული ამომრჩეველი ვარ“	მოსწავლეები გაეცნობიან ხმის მიცემის პროცედურას.
IV - არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები	პრაქტიკული სავარჯიშო - „მე დამკვირვებელი ვარ“	მოსწავლეები გაიაზრებენ დამკვირვებლის როლს და მისი ფუნქციის მნიშვნელობას არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველსაყოფად.
	პრაქტიკული სავარჯიშო - „მე ჟურნალისტი ვარ“	მოსწავლეები გაიაზრებენ მედიის როლს საზოგადოებისთვის არჩევნების შესახებ ზუსტი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდების კუთხით.
	პრაქტიკული სავარჯიშო - „ვეთანხმები - არ ვეთანხმები“	მოსწავლეები მოირგებენ კანდიდატების როლს და გაითავისებენ საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად ჩამოყალიბების მნიშვნელობას, საპირისპირო მოსაზრებების მოსმენისა და პატივისცემის აუცილებლობას.

იმიტირებული არჩევნები

მოსამზადებელი პერიოდი: საინიციატივო ჯგუფებად დაყოფილი მოსწავლეები შეიმუშავებენ სლოგანებს ახალგაზრდებში არჩევნების პოპულარიზაციის მიმართულებით და შემდგომ აღნიშნულ სლოგანებს გაუწევენ აგიტაციას პოტენციურ ამომრჩევლებთან (IX-XII კლასის მოსწავლეები).

იმიტირებული არჩევნების დღე: მოსწავლეები გაივლიან ხმის მიცემის პროცედურას და ხმების დათვლის შედეგად გამოვლინდება გამარჯვებული სლოგანი.

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მოსწავლეებს გადაეცემათ სერტიფიკატები.